

ჯინისის ცხენი და ცხოველთა მოშინაურების ზოგირთი საკითხი

პრეისტორიულ პერიოდში ცხოველების მოშინაურების პროცესი საკმაოდ რთული, ხანგრძლივი და მრავალეტაპობრივი იყო. ეს ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველები თანმიმდევრობით, სხვადასხვა ეპოქაში ჩნდებოდა. მაგალითად, თუ ძაღლი, ქათამი, ღორი, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი და თითქმის ყველა თანამედროვე შინაური ცხოველი უკვე გვიანი ნეოლითის ხანაში არსებობდა, ისეთი სწრაფმავალი ცხოველები, როგორცაა ცხენი ან მორბენალი ცალკუზა აქლემი, როგორც ჩანს, მოგვიანებით, მხოლოდ ბრინჯაოს ხანიდან ჩნდება. ლ. ვულის [Вули 1961] გათხრების შედეგად შუმერთა ქალაქ-სახელმწიფო ურში აღმოჩენილ შტანდარტზე ეტლში შებმული კანჯარის გამოსახულებებისა და ასევე, ამ ცხოველის ძვლების ურუქის სამეფო სამარხებში აღმოჩენის შემდეგ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ პირველი სწრაფმავალი ცხოველი, რომელიც ადამიანმა მოაშენა, უნდა ყოფილიყო არა ჩვენთვის კარგად ნაცნობი შინაური ცხენი, არამედ კანჯარი, რომელიც ზოოლოგიურად ნახევრადვირების ქვეგვარს ეკუთვნის. შუამდინარეთსა და წინა აზიაში კანჯარის მოშინაურება [Bendukidze 2003], როგორც ჩანს, წინ უსწრებდა ნამდვილ ცხენს (ქვეგვარი *Equus*), რომელიც კავკასიაში და მის მიმდებარე რაიონებში მხოლოდ ძვ.წ. II ათასწლეულში, სავარაუდოდ, მიგრაციული პროცესების შედეგად გამოჩნდა.

განუზომლად დიდია ცხენისნაირების (გვარი *Equus*) მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიისათვის. ამ გვარის სამი წარმომადგენელი: ვირი *Equus (Asinus) asinus*, ნამდვილი ცხენი *Equus (Equus) caballus* და კანჯარი *Equus (Hemionus) hemionus* ადამიანმა ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში მოშინაურა: ვირი — ეგვიპტეში, კანჯარი კი, სავარაუდოდ, მესოპოტამიაში, ცხენი — ცენტრალურ აზიაში. შემდგომში შინაური ვირი და შინაური ცხენი ფართოდ გავრცელდა მთელს ევრაზიაში და ამჟამადაც, თანამედროვე ეპოქაში შინაური ცხოველები არიან.

სხვაგვარად იყო საქმე კანჯარის შემთხვევაში, რომელიც მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში ყოფილა შინაური ცხოველი — ენეოლითის დასასრულიდან ადრებრინჯაოს ხანის ბოლომდე. ისტორიული ეპოქის დასაწყისისათვის უკვე მხოლოდ ველური კანჯარი არსებობდა, მან დაკარგა შინაური ცხოველის სტატუსი, თუმცა მანამდე დასავლეთ ევრაზიის ფართო ტერიტორიაზე იყო მოშინაურებული. შესაძლებელია თამამად ითქვას, რომ ძვ.წ. IV-II ათასწლეულებში შინაური კანჯარი (*Equus hemionus pumpellii Duerst*) მახლობელი აღმოსავლეთისა და წინააზიის ბევრ რეგიონში იყო გავრცელებული: შუამდინარეთში (ურუქი, ური), ირანში (შახრე-სუხტე), კავკასიაში და სავარაუდოდ, თურქმენეთში (ანაუ). სავარაუდოდ, შინაური კანჯარი საქართველოს ტერიტორიაზეც იყო გავრცელებული. როგორც ადრებრინჯაოს ხანის დასახლებებში — ორჭოსანი (სამცხე), ქვაცხელები (შიდა ქართლი), დამწვარი გორა (კახეთი) — აღმოჩენილი კანჯარების ოსტეოლოგიური მასალების შესწავლამ გვიჩვენა, ისინი შინაურ ფორმას მიეკუთვნება. განსაკუთრებით ნიშანდობლივია საქართველოს ტერიტორიული სიახლოვე მესოპოტამიასთან. გარდა ამისა კავკასიაში (აზერბაიჯანში, დაღესტანსა და ჩეჩნეთში) აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიც, რომლებშიც ურუქის კულტურის ფენებიც დასტურდება (ყოველ შემთხვევაში, ურუქის კულტურასთან ახლოს მდგომი კულტურისა) გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ კანჯარის ძვლები, რომელიც ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებში გვხვდება მთელ კავკასიაში, ეკუთვნის

შინაურ კანჯარს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ შინაური კანჯარის არსებობის პერიოდი კავკასიასა და საქართველოში. ხოლო იმის გამო, რომ შინაური კანჯარი და შინაური ცხენი ერთად ჯერ არსად არ აღმოუჩინიათ, ლოგიკური იქნება მივიჩნიოთ, რომ ცხენი საქართველოში და ყველა სხვა მახლობელ რეგიონში შინაურ კანჯარზე გვიან გაჩნდა, დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში. გამორიცხული არაა, რომ ცხენმა ჩაანაცვლა შინაური კანჯარი, როგორც უფრო ძლიერმა ცხოველმა, რომელსაც შეეძლო ეტლის ტრანსპორტირება (ეტლებში ოთხ კანჯარს აბამდნენ, ცხენი კი — ორიც საკმარისი იყო).

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში პირველი შინაური ცხენის გამოჩენის დროის დასადგენად, საინტერესო მასალას გვაძლევს ისეთი არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენა, რომლებიც ცხენოსნობასთან არის დაკავშირებული: ლაგამი, მოსართავი, უნაგირის ნაწილები და სხვა, აგრეთვე ცხენის პატარა ფიგურები და ცხენის გამოსახულებები. ამგვარი საგნები აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის ფენებში: მცხეთაში [სადრადე, მურვანიძე 1987, 437-440; სადრადე 1991], არტიკში (სომხეთი), ბერიკლდეებში და საფარ-ხარაბაში, სადაც მიცვალებულისათვის ჩატანებულ ნივთებს შორის აღმოჩენილი იქნა ისეთი ტიპის უღელი, რომლის მსგავსი გამოსახულებებიც კლდეებზე იყო აღმოჩენილი მთელს ევრაზიაში, კერძოდ კი რამდენიმე ნახატი აღმოჩენილი იქნა სევანის ტბასთან [Межлумян 1972].

სამხრეთ კავკასიის რეგიონში შინაური ცხენის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საინტერესო აღმოჩენაა ლჭაშენის თავის ქალების სერია, რომლებიც შეისწავლა ცნობილმა პალეოზოოლოგმა ს. მეჟლუმანმა [Межлумян 1972], თუმცა ჩვენ ზუსტად არ ვიცით ცხენის რომელ ჯიშს ეკუთვნოდა ეს თავის ქალები, რადგან თავად არ გვინახავს მასალა. ფოტოასლების მეშვეობით რაიმეს დადგენა კი შეუძლებელია. არ არის გამორიცხული, რომ ლჭაშენის ცხენის თავის ქალები ეკუთვნოდეს იმავე ჯიშს, რაც ჯინისშია აღმოჩენილი [ბენდუქიძე 2005]. ლჭაშენში აღმოჩენილი მასალა საჭიროებს დამატებით ოსტეოლოგიურ შესწავლას.

აკადემიკოსი ბ. კუფტინი (1941 წ.) ცხენს, ბეშთაშენის ციკლოპური ციხე-სიმაგრის გათხრების შედეგად აღმოჩენილ ცხოველთა სიაში ასახელებს. თუმცა თუ მხედველობაში მივიღებთ ისტორიულ პერიოდს, რომლითაც ბეშთაშენის კულტურული ფენები თარიღდება (ადრებრინჯაოს ხანა), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქ შესაძლებელი იყო აღმოეჩინათ შინაური კანჯარი. თრიალეთის V ყორღანში ბ. კუფტინმა ცხენის ოქროს ფიგურა აღმოაჩინა [Куптин 1941, таб. ХСVII], მაგრამ რატომღაც ამ ფაქტმა მეცნიერთა ყურადღება არ მიიქცია. თუ ეს ნივთი იმპორტს არ წარმოადგენს, იგი შუა ბრინჯაოს ხანაში (თრიალეთის კულტურა) მოშინაურებული ცხენის არსებობის უტყუარ საბუთს წარმოადგენს.

ნ. გამრეკელი ორ მოკლე სტატიაში აღწერა ცხენების ნაშთები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილი ძეგლებიდან (მცხეთა, ილტო, ახალი ულიანოვკა, ქვაცხელები და თრიალეთი) მომდინარეობს. თრიალეთში აღმოჩენილ ცხენის ნაშთებს იგი შუა ბრინჯაოს ეპოქით ათარიღებს [გამრეკელი 1976; გამრეკელი 1980]. თუმცა ასეთი დათარიღება ჩვენში დიდ ეჭვს იწვევს, რადგან ცხენი თრიალეთიდან, მაგალითად, ჩვენი მონაცემებით, აღმოჩნდა შედარებით გვიანდელ, ჩაშვებულ სამარხებში. გაურკვეველია აგრეთვე, კონკრეტულად რომელი ფენებიდან მომდინარეობს ილტოში აღმოჩენილი ცხენის ძვლები და ა.შ. ამრიგად ნ. გამრეკელის მიერ სტატიებში მოყვანილი თარიღები ნდობას არ იმსახურებს.

საერთოდ, ცხენი მახლობელ აღმოსავლეთსა და წინააზიაში შედარებით გვიან გაჩნდა. როგორც ცნობილია, შინაური ცხენის პირველი, ისტორიულად დაფიქსირებული გამოჩენა მიეკუთვნება ეგვიპტეში ჰიქსოსების შემოსევის პერიოდს (ძვ.წ. XVII ს.). ამ ფაქტთან დაკავშირებით, ძალზე ნიშანდობლივია ჯინისის ნამოსახლარზე ცხენების ნაშთების აღმოჩენა, რომლებიც დაახლოებით იმავე ეპოქას განეკუთვნება. ჯინისში ცხენების ნაშთები რაოდენობრივად ჭარბობს სხვა შინაურ ცხოველთა ძვლების საერთო რაოდენობას (არანაკლებ 35-40%-ია). იმის გათვალისწინებით, რომ ცხენების ძვლები არ განირჩეოდა ნასუფრალი სხვა შინაურ ცხოველთა ძვლებისა-

გან [ბენდუქიძე 2005], შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადამიანი ცხენს ისევე იყენებდა საკვებად, როგორც სხვა შინაურ ცხოველებს.

აქ ისმის საკითხი, რა სტატუსი ჰქონდა ჯინისის ცხენს, ველური იყო თუ შინაურ ფორმას ეკუთვნოდა? ეს საკითხი არც ისე მარტივია. ჩვენი აზრით, თუ ცხენი სამხედრო საქმეში გამოიყენებოდა, მაშინ უძველეს ხალხში აკრძალული უნდა ყოფილიყო ცხენის საკვებად გამოყენება, თუმცა აღმოსავლეთის ხალხებს, ტრადიციულ მეცხენეებს (მონღოლებს, თურქებს) ეს აკრძალვა არ ჰქონიათ. უნდა ითქვას, რომ თავისი ტიპით ჯინისის ცხენი არ განსხვავდებოდა პალეოლითის ეპოქის ველური ცხენისაგან, რომელიც აღმოჩენილი იქნა ეძანში, ზურტაკეტსა და ბავრაში. იგი, როგორც ჩანს, წარმოადგენდა კარგად ცნობილ მორფოტიპს ე.წ. „სამხრეთული ცხენისა“, რომლისგანაც, სავარაუდოდ, წარმოიშვა არაბული და სხვა მასთან ახლოს მდგომი საჯირითო ცხენი. სამწუხაროდ, ჯინისის ცხენის უფრო დეტალური დახასიათების მოცემა არ შეგვიძლია, რადგან მასალა წარმოდგენილია მხოლოდ იზოლირებული კბილებით, კიდურების წვრილი ძვლებით (ფალანგებით, მეტაპოდიუმების ეპიფიზებით და ტერფისა და წვივის ძვლებით).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ველური ცხენი უძველესი დროიდან ბინადრობდა სამხრეთ საქართველოში (ჯავახეთის ზეგანზე და წალკაში). მისი ძვლები, პირველყოფილი ადამიანის სამზარეულოს ნარჩენების სახით აღმოჩენილი იქნა ზურტაკეტისა და ეძანის ეპიპალეოლითური სადგომების გათხრის დროს.

ნიშანდობლივია სახელწოდება „ზურტაკეტის“ ეტიმოლოგია. სიტყვა „ზურტაკ“ ზოგ ირანულენოვან ხალხში აღნიშნავს ველურ ცხენს. ჩვენი აზრით, გამორიცხული არაა, რომ საქართველოს ტერიტორიასა და უფრო ფართო მნიშვნელობით სამხრეთ კავკასიაში შესაძლებელია ერთდროულად ეარსება როგორც ველურ, ასევე შინაურ ცხენს. ამაზე, შესაძლოა მიუთითებდეს მცხეთაში აღმოჩენილი თიხის ცხენების ფიგურები [სადრაძე, მურვანიძე 1987; Садрაძე 1991], რომელთა შორისაც აშკარად ჩანს ცხენების ორი ტიპი. ერთი ტიპის ცხენს აქვს გრძელი მოხდენილი კისერი, პატარა ლამაზი თავი, წაგრძელებული ტანი და ეს ცხენი ექსტერიერით ძალიან ჰგავს ძველი პართული ჯიშის ცხენს (თანამედროვე ეპოქაში ეს არის ე.წ. ახალთექური ჯიშის ცხენი). მეორე ტიპის ცხენი, რომელიც მხოლოდ ერთი თიხის ფიგურით არის წარმოდგენილი, აღნაგობით უფრო მასიურია, აქვს დაკუნთული კისერი, მსხვილი თავი, დაბალი ტანი, ხშირი და გრძელი ფაფარი. ამრიგად, გვაქვს ცხენის ორი ტიპი: ერთი — გაკეთილშობილებული, სპეციალურად გამოყვანილი საჯირითო და მეორე — პირველადი სელექციისაგან ხელშეუხებელი, რომელიც ეკუთვნოდა ველურ ცხენს, ან უკიდურეს შემთხვევაში, სამუშაო, უჯიშო საქონელს.

პალეოლითური ხანის დასასრულს ველური ცხენი ბინადრობდა დასავლეთ საქართველოშიც. ცხენის ნაშთების დიდი რაოდენობა აღმოჩენილია ზემო იმერეთის მღვიმეებში.

გასული საუკუნის 70-იან წლებში დ. თუშაბრამიშვილის ექსპედიციაში მონაწილეობის დროს ძუძუანას მღვიმეში ჩვენ მოვიპოვეთ ამ ცხენის ნაშთების დიდი რაოდენობა. სამწუხაროდ, ისევე როგორც ჯინისში, ძუძუანას მღვიმეში ვერ იქნა აღმოჩენილი ცხენის თავის ქალები ან თუნდაც თავის ქალის ნაწილები სადიაგნოსტიკოდ, რათა უფრო დანვრილებით შეგვეძლებოდა გვემსჯელა ამ ცხენის მორფოლოგიურ ტიპზე. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ცხენი იმ ქვესახეობათაგან განსხვავებით, რომლებიც გავრცელებული იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, სავარაუდოდ ეკუთვნოდა სხვა, უფრო დიდი ზომის ქვესახეობას *Equus caballus strictipes Gabunia*, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ველური ცხენები მიეკუთვნებოდნენ ქვესახეობას *Equus caballus binagadiensis Gajiev* (= *E. caballus zurtakensis Bendukidze*), რომელიც თავდაპირველად აღწერილი იყო ბინაგადის პლეისტოცენური ადგილსაპოვებელიდან (აზერბაიჯანი), თავისი ტიპის მიხედვით (კბილების მინაქრის ნაოჭების, ჩლიქების მოხდენილობითა და ტანის სიდიდით ეს ქვესახეობა ძალიან ჰგავს ეძანის, ზურტაკეტის, ბავრისა და ჯინისის ცხენს), რაც შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ იმას, რომ ისინი ეკუთვნიან ცხენების ე.წ. „სამხრეთულ“ ჯგუფს, რომელიც არაბული ჯიშისა და მასთან ახლოს მდგომი უძველესი აღმოსავლური ცხენის წინაპარს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, უძველესი დროიდან ცხენისნაირების გამოყენების საშუალება იყო მათი შებმა საბრძოლო ეტლებში. საბრძოლო ეტლი ძირითადად გამოიყენებოდა მტრის წყობის გასარღვევად. შუმერების (ური) უძველესი საბრძოლო ეტლები ძალიან პრიმიტიული იყო, უხეში და მოუხერხებელი. მათ ოთხი მძიმე ბორბალი ჰქონდათ და მასში ოთხი კანჯარი ებმოდა. ეს ყველაფერი კარგად ჩანს ე.წ. „ურის შტანდარტზე“ და ერთი ზარდახშის თავსახურზე, რომელიც ასევე ურშია აღმოჩენილი [Вулли 1961]. ჩვენი ვარაუდით, უფრო გვიანდელი ასურულ-ბაბილონური სამარი ორბორბლიანი ეტლები წინ გადადგმული ნაბიჯი იყო შუმერულ ეტლებთან შედარებით. მართალია, ამ ეტლებსაც, როგორც გამოსახულებებზე ჩანს, ძალიან უხეში და მასიური ბორბლები ჰქონდათ, მაგრამ მათში უკვე ორი ცხენი იყო შებმული. იგივე ტიპის ეტლი (უზარმაზარი მასიური ბორბლებით) იყო გავრცელებული ურარტუშიც (იხ. გამოსახულებები მეფე სარდურის საისრეზე).

ხმელთაშუაზღვისპირეთში კიდევ ერთი ტიპის ეტლი იყო გავრცელებული. ჩვენ შეგვიძლია ეს ეტლი ვიხილოთ ბერძნებთან, ეტრუსკებთან, რომაელებთან და, სავარაუდოდ, აქემენიდებთან, რომელთაც დაახლოებით ერთი ტიპის საბრძოლო ეტლები ჰქონდათ. ამგვარი ეტლები ჩვეულებრივ შემკული იყო გამოსახულებებით, ბარელიეფებითა და ჰორელიეფებით. გარდა ამისა, ბერძნებისა და სპარსელების ეტლის ბორბლებს შორის გადებული ღერძების ბოლოები მახვილსებური ჰქონდა, რომლებიც მტერს ჩეხავდა.

ჭეშმარიტი რეფორმა ეტლების გაკეთების საქმეში მოახდინეს ინდოეთისა და ავღანეთის უძველესმა არიელებმა. ისინი ეტლს განსაკუთრებით მაგარი ჯიშის ხისგან ამზადებდნენ, ამიტომ ეტლი მსუბუქი იყო და ზრდასრულ მამაკაცს ცალი ხელით შეეძლო აენია იგი, ამ ტიპის ეტლი პირველად აზიაში გაჩნდა. შემდეგ ჰიქსოსებისაგან იგი ეგვიპტელებმა შეითვისეს, შეამჩნიეს რა მისი საბრძოლო თვისებები. ასეთი ეტლი ხეთებსაც ჰქონდათ. ცხენი საჯირითოდ გამოყენება შედარებით გვიან დაიწყო, როგორც ჩანს, ესეც დაკავშირებული იყო ჰიქსოსთა ეგვიპტეში შეჭრასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეტლთან ერთად ჰიქსოსები, სავარაუდოდ, უკვე ცალკე ცხენსაც იყენებდნენ საჯირითოდ (ძვ.წ. XVII ს). ამგვარად, იმ დროისათვის არსებობდა ცხენოსანი ჯარი, კავალერია [ბენდუქიძე 2005].

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ეტლის ევოლუციას: შუმერთა საბრძოლო ოთხთვლიანი ეტლიდან ასურულ-ბაბილონურ ეტლამდე და შემდეგ არიულ ეტლამდე, რომელიც პროგრესული, გაცილებით უფრო მსუბუქი იყო.

ჩვენი აზრით ცხენების მოშენების მთავარი ცენტრების დადგენა, რომლებიც უძველეს დროს არსებობდნენ, შესაძლებელი იქნება ეტლების ტიპების ანალიზისა და შედარების საფუძველზე, რომლებიც ჰქონდათ სხვადასხვა ხალხებს ევრაზიის სხვადასხვა რეგიონში. სავარაუდოა, რომ ამ მონაცემების სისტემატიზირებამ, საბოლოო ჯამში, შეიძლება საშუალება მოგვცეს, დავადგინოთ რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეცხენეობის ცენტრი მისი განვითარების პრეისტორიულ ეტაპზე.

ჩვენი ვარაუდით, შესაძლებელია ორი სხვადასხვა ტიპის ეტლის გავრცელება მიუთითებდეს ცხენების მოშინაურების ორი ძირითადი ცენტრის არსებობაზე. ეს, სავარაუდოდ, წინააზიის რეგიონში იყო. აქედან გაჩნდა მოშინაურებული ცხენი ბაბილონში, ასურეთსა და ურარტუში. მეორე ცენტრი კი, სავარაუდოდ, შუა და ცენტრალურ აზიაში, მაშინდელი არიული მოდგმის ხალხის გავრცელების არეალში მდებარეობდა.

ცნობილია, რომ ცხენების მოშენების დიდოსტატები უძველეს დროს ხურიტები იყვნენ, კერძოდ კი მითანელები. ამ საქმეში სწორედ ისინი იყვნენ ხეთების მასწავლებლები. ამას ადასტურებს ლურსმული დამწერლობის არქივებში — ბოლაზ-ქოიში (ხათუსა) აღმოჩენილი ვინმე მითანელის სახელად კიკულის ტრაქტატი, რომელიც შეიცავდა ცხენის წრთვნის მეთოდებს. ეს მეთოდები ცოტა რამით თუ განსხვავდება თანამედროვე მეთოდიკისაგან.

ბოლო ხანებში გათხრების დროს გახშირებული ხურიტული (მითანური) წარმოშობის არტეფაქტების აღმოჩენა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე (სამხრეთ საქართველო, სომხეთი) [ნა-

რიმანიშვილი 2006], შესაძლოა მიგვითითებდეს, რომ კავკასიის სწორედ ეს რეგიონები, კერძოდ, პრეისტორიული სახელმწიფოებრივი გაერთიანება „დიაოხი“ (ტაოს ისტორიული რეგიონი) ძვ.წ II ათასწლეულში შესაძლოა ყოფილიყო ცხენის მომშენებელი ცენტრი კავკასიაში; რაზეც მიგვითითებს აღმოჩენები ჯინისსა და საფარ-ხარაბაში.

აღსანიშნავია, რომ ასურელი და ურარტუელი დამპყრობლები პირველ რიგში დიაოხის ტერიტორიაზე სწორედ ჯიშთან ცხენებს ეძებდნენ. მათ ეპიგრაფიკულ ლურსმნულ წარწერებში საუბარია ხარკის შესახებ, რომელსაც ისინი დამორჩილებულ მხარეს შეანერდნენ ხოლმე. აღსანიშნავია, რომ პირველ რიგში აქ ჩამოთვლილია ცხენები, როგორც მათი ნადავლის უძვირფასესი ნაწილი [Меликишвили 1959]. უფრო გვიანაც, ანტიკურ ხანაში სამხრეთ საქართველო კვლავ რჩებოდა მეცხენეობის განსაკუთრებული განვითარების ოლქად. ამაზე მიგვითითებს ცხენის ნაშთების დიდი რაოდენობა ჩვენს მიერ განსაზღვრულ ოსტეოლოგიურ მასალაში ქორატიდან (ახალციხე), სადაც ეს ნაშთები ბევრად ჭარბობდნენ სხვა შინაურ ცხოველთა ნაშთებს.

არ არის გამორიცხული, რომ ცხენის გამოჩენა მესოპოტამიასა და წინა აზიაში დაკავშირებული იყო ე.წ. ზღვის ხალხების გადმოსახლებასთან, რომელთა შორისაც იყვნენ ადრინდელი არიელებიც. შემდგომში ცხენი სწრაფად გავრცელდა ამ რეგიონში (ევრაზიის დასავლეთი ნაწილი), შემდეგ კი ჰიქსოსთა მეშვეობით ცხენმა აფრიკაშიც (ეგვიპტე) კი ჩააღწია. ამ ძლიერი ცხოველის გამოჩენის შემდეგ, რომელსაც შეეძლო მსუბუქი ორთვლიანი ეტლის სწრაფი ტრანსპორტირება (სადაც ცხენი წყვილად იყო შებმული, მაშინ როცა ოთხი კანჯარი იყო შებმული ძალიან მძიმე და პრიმიტიულ ოთხთვალა ეტლში), როგორც ჩანს, კანჯარი აღარ იყო საჭირო და სავარაუდოდ, ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ადამიანმა მიივიწყა იგი, როგორც შინაური ცხოველი. ამას ხელი შეუწყო შემდეგომმა ფაქტორებმა:

1. როგორც ზევით იყო აღნიშნული, კანჯარი ცხენთან შედარებით ბევრად სუსტი იყო.
2. ლაგამი ჯერ არ არსებობდა, ამიტომ კანჯარის მართვა უფრო რთული იყო, ვიდრე ცხენისა.
3. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: იმავე ურის შტანდარტზე არსებული გამოსახულებების მიხედვით, შუმერთა ეტლები იყო ძალზე მძიმე და ხის ოთხი მასიური ბორბლით იყო აღჭურვილი. ეს ყველაფერი ერთად, სავარაუდოდ იმაზე მიუთითებს რომ, შინაური ცხენის გამოჩენა კანჯარის გაქრობის მიზეზი გახდა.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ცხენისაგან განსხვავებით კანჯარი სხვა ქვეგვარს ეკუთვნის — *Hemionus-is* ქვეგვარს. მართალია, იგი გარეგნულად პატარა ცხენს მოგვაგონებს, მაგრამ ამასთან ერთად მას ახასიათებს მთელი რიგი მორფოლოგიური თავისებურებებისა, რომლებიც ვირებს აქვთ (ქვეგვარი *Asinus*): შედარებით უფრო გრძელი ყურები, უფრო თხელი კისერი, ფუნჯით დაბოლოებული კუდი, ძალიან მოკლე (თითქოს განგებ შეჭრილი) ფაფარი. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მისი საღეჭი კბილები ზედაპირის ჩუქურთმების მიხედვით აშკარად განსხვავდება ნამდვილი ცხენის (*Equus*-ის ქვეგვარი) საღეჭი კბილებისაგან. გარდა ამისა, კანჯარს ძალიან წვრილი, მოხდენილი ფეხები აქვს და ამ მხრივ იგი უახლოვდება სტენონის ცხენს და ზოგიერთ ჰიპარიონებს. კანჯარს ასევე ახასიათებს სტენონისებური ფორმის ქვედა საღეჭი კბილების ორმაგი მარყუჟი, საღეჭი კბილების თხელი მინანქარი, გაუყოფელი მეზოსტილით; ქვედა კბილების განსაკუთრებული ფორმის გარე უბე, რომელსაც წინა კედელზე აქვს ძალიან სუსტად განვითარებული დამატებითი ნაოჭი. დამახასიათებელია ქვედა კბილებზე ამ უბის ძალიან ძლიერი შეჭრა ორმაგი მარყუჟის ყელში.

კანჯარის სხვადასხვა ქვესახეობების (7 ქვესახეობა) გავრცელების არე წარსულში მოიცავდა ერაყის, სირიის, ირანის, ავღანეთის, მონღოლეთის, ჩინეთის, პაკისტანის, ინდოეთის, ტიბეტის, თურქმენეთისა და ყაზახეთის ტერიტორიებს [Соколов 1957; Сосновский 1987]. ჰოლოცენურ ეპოქაში კანჯარი ასევე ბინადრობდა რუსეთის ზეგანის სამხრეთ ნაწილში, კასპიის გადაღმა რაიონებში, დასავლეთ ციმბირის სამხრეთ ნაწილში, კავკასიაში, მცირე აზიასა და თითქმის მთელი ყაზახეთისა და თურანის (შუა აზია) დაბლობებზე. მაგრამ უკვე XX ს-ის I მესამედში (დაახლ. 30-იან წლებამდე) კანჯარი შემორჩა მხოლოდ ცენტრალურ (ბეთპაკდალა) და აღმოსავლეთ ყაზახეთში (ჯუნგარეთი), ასევე თურქმენეთში (ბათხიზი). დაახლოებით ამავე პერიოდში კანჯარი

არსებობდა აგრეთვე მონღოლეთში, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში, დასავლეთ პაკისტანსა და ცენტრალურ ირანში (დეშთეჟევირი, დეშთე-ლუთი). თუმცა მისი ამჟამინდელი გავრცელება ინდოეთში შემოფარგლულია მხოლოდ უდაბნოს რაიონით, ე.წ. კაჩის რანით. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ ცხოველის გავრცელების დიდი არეალისა, მოშინაურებული იყო მხოლოდ ერაციის ქვესახობა (*Equus hemionus hemippus* Geoffroy). მინათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად კანჯარის გავრცელების არეალი შემცირდა. აღმოსავლეთ ევროპაში დაახლოებით XVII-XVIII სს-ში კანჯარი შემორჩენილი იყო მხოლოდ ვოლგისა და ურალის შუამდინარეთში. XIX ს-ის ბოლოს კანჯარი ამოწყდა დასავლეთ ყაზახეთში და მისი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა თურქმენეთშიც. აღსანიშნავია, რომ კანჯარის შესანარჩუნებლად საბჭოთა პერიოდში შეიქმნა სამი ნაკრძალი: თურქმენეთში (ბათხიზი, 1941 წ.), არალის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე (ბარსა-ქელმესი, 1953 წ.) და ყაზახეთში, 1982 წ (ყაფჩაგაი).

კანჯარი ძალიან სწრაფი ცხოველია. ზრდასრულ მამრს შეუძლია ირბინოს 60-70 კმ-სთ-ის სიჩქარით 10 კმ-ის მანძილზე. უფრო ნელი ტემპით კი არანაკლებ 20-25 კმ-ისა შეუსვენებლად. კანჯარი საკმაოდ დიდი ცხოველია, მისი სხეულის სიგრძე აღწევს 200-260 სმ-ს, სხეულის სიმაღლე კისრის საძირკველთან 1,5 მეტრია, ხოლო წონა 350 კგ-მდე. კანჯარის ხორცი ძველად დიდად ფასობდა, ხოლო ტყავს შაგრენის დასამზადებლად იყენებდნენ. კანჯარის გავრცელებისათვის ყველაზე სასურველი პირობებია მშრალი სტეპები და ნახევარუდაბნოები, კარგი საძოვრებითა და წყლის დიდი რაოდენობით. მაგ. კოპეტ-დაღის მთისწინა ზოლი, თეჯენგისა და მურღაბის შუამდინარეთი თურქმენეთში [Соколов 1957; Сосновский 1987].

კავკასიაში კანჯარი, სავარაუდოდ, ბინადრობდა ყველგან, სადაც იყო მისთვის შესაფერისი პირობები: აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთ საქართველოსა და კასპიის ზღვის დაბლობზე. კერძოდ, წარსულში კანჯარი ბინადრობდა აღმ. აზერბაიჯანში აბზინდისა და კაპარის გავრცელების რაიონებში (აღმოსავლეთ აზერბაიჯანი), მულანისა და მილის სტეპები, ყობუსტანი და აფშერონის ნახევარკუნძულის სხვა რაიონები. სწორედ ამიტომ აღმოაჩინეს აზერბაიჯანელმა არქეოლოგებმა კანჯარის ნაშთები ყობუსტანის ნეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის სადგომებში. ამას გარდა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, საქართველოში კანჯარი ბინადრობდა სამხრეთ-დასავლეთ (ახალციხე) [ბენდუქიძე 2006] და სამხრეთ-აღმოსავლეთ (ქვემო ქართლი) [Бендукидзе 1979] რაიონებში. ჩრდილო კავკასიაში კი დაღესტნის დაბლობში, დერბენდთან [Верещагин 1959]. არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვიანი ნეოლითიდან ანტიკური ხანის ჩათვლით (ჭორატი) გარეუფლი კანჯარი ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ საქართველოში. ამას ადასტურებს კანჯარის ნაშთების აღმოჩენა არუხლოში და იმირის გორაზე (ნეოლითი) [Бендукидзе 1979], ორჭოსანსა (ადრებრინჯაოს ხანა) [ბენდუქიძე, დევნოზაშვილი 2006] და ჭორატში (ანტიკური ხანის ფენები). ზემოჩამოთვლილი აღმოჩენების გათვალისწინებით შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანჯარი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ სამხრეთ საქართველოში. არ არის გამორიცხული, რომ კანჯარი ყოფილიყო გავრცელებული შიდა ქართლის დაბლობში, რაზეც მიგვიჩვენებს მისი ნაშთების აღმოჩენა ქვაცხელებში (ა. ჯავახიშვილის გათხრები). ამ აღმოჩენის მიხედვით ადრებრინჯაოს ხანაში შეიძლება ყოფილიყო შინაური კანჯარი. ამრიგად, დასავლეთით კანჯარის გავრცელება, სავარაუდოდ, აღწევდა ურბნის (მხედველობაში გვაქვს ქვაცხელების აღმოჩენა). ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში, როცა ფიქსირდება კანჯარის ორი ფორმის (შინაურისა და გარეუფლის) ერთდროული არსებობა, დგება საჭიროება, განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ეს ორი ფორმა. მითუმეტეს, როცა შინაური ფორმისათვის უკვე არსებობს სპეციალური სისტემატური დასახელება, რომელიც შემოგვთავაზა უ. ფონ დიურსტმა ანაუს (თურქმენეთი) კანჯარისათვის — *Equus hemionus pumpellii*. ჩვენ ვთავაზობთ გამოვიყენოთ ეს სახელწოდება შინაური კანჯარისათვის, რომელიც არსებობდა ადრებრინჯაოს ხანის შუამდინარეთსა და წინა აზიაში. საქმე ისაა, რომ ულრიქ ფონ დიურსტის მიერ *Equus pumpellii*-ს სახელწოდებით აღწერილ იქნა შედარებით პატარა და მოხდენილფეხება ცხენი [Duerst 1908]. თუმცა შემდგომ ვ. გრომოვამ გამოთქვა საკმაოდ საფუძვლი-

ანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ *Equus pumpellii*-ს ძვლები სინამდვილეში შეიძლება ცხენის კი არ ყოფილიყო, არამედ კანჯარისა [Громова 1947]. ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ ვ. გრომოვას განსაზღვრებაში და ვფიქრობთ, რომ ანაუს ნამოსახლარიდან მომდინარე ძვლები ნამდვილად ეკუთვნოდა კანჯარს. ხოლო იმის გამო, რომ ადრებრინჯაოს ფენები ანაუ II-დან ეკუთვნის იგივე ჰილმენდის კულტურას (მ. საჯადის ზეპირი ცნობა), ისევე, როგორც შახრე-სუხტეს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კანჯარის ნაშთები ანაუდან ასევე ეკუთვნის იგივე შინაურ ფორმას. იმისათვის რომ ეს შინაური კანჯარი განვასხვავოთ მისი გარეული ფორმისაგან, ჩვენ გთავაზობთ ვუნოდოთ მას დიურსტის მიერ შემოღებული სახელი — *Equus hemionus pumpellii*.

ჩვენი ვარაუდით, სწორედ ქსეროთერმული ადრეჰოლოცენის ეპოქა იყო კანჯარის ყველაზე ფართო გავრცელების ხანა საქართველოსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე: კავკასიაში, მცირე აზიაში, ირანსა და ახლო აღმოსავლეთში. უნდა ვივარაუდოთ, რომ კანჯარისა და სხვა ქსეროფილური ცხოველების განსაკუთრებით ფართო გავრცელება უშუალოდ იყო დაკავშირებული ამ პერიოდში კლიმატის საგრძნობ დათბობასა და სიმშრალესთან.

ისტორიული ცნობები კანჯარის გავრცელების შესახებ შეგროვებული აქვს რუს ზოოლოგ ნ. ვერეშჩაგინს. იგი გვატყობინებს, რომ ქსენოფონტეს აღწერილი აქვს ბერძენთა ნადირობა კანჯარებზე ეფფრატის სათავეებთან. სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენაცი მოგვითხრობს არშაკიდების დინასტიის მეფეების ნადირობის შესახებ კანჯარებზე მდ. არაქსის შუა წელში. სომეხი ისტორიკოსები ანანია შირკაცი და გრიგოლ ნარეკაცი მიგვითითებენ კანჯარის არსებობაზე სომხეთში. X ს-ის ცნობილი ისტორიკოსი მოსე კალანკატუაცი იუწყება გარეული კანჯარების არსებობის შესახებ მილისა და ყარაბაღის სტეპებში. აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი განჯელი თავის ლექსებში აღწერს კანჯარებზე ნადირობას მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთში. რაშიდ ედ დინი (XIV ს.) მოგვითხრობს, რომ იმ ნადირობის დროს, რომელიც მოწყობილა ილხან ყაზან ხანის მიერ თალიშში, ნადავლში სხვა ცხოველებთან ერთად იყო აგრეთვე გარეული ვირები (ანუ კანჯარები). პოლონელი მეცნიერისა და მოგზაურის ადამ ოლეარის ცნობით ირანის შაჰს ისპაჰანის სამხეცეში დაძვინდებული ჰყავდა ე.წ. *ონაგრები*. და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ირანის ერთ-ერთი სასანიდი შაჰი (ბახრამი) განჯელის ნაწარმოებში „შვიდი პორტრეტი“ სახელდებულია როგორც „ხუურ“ ანუ კანჯარი [Верещагин 1959].

საქართველოს ტერიტორიაზე კანჯარების ბინადრობის შესახებ არავითარი ცნობა არაა შემონახული, თუმცა საყურადღებოა, რომ შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი აქვს როსტევეანისა და ავთანდილის ნადირობა, სადაც სხვა ცხოველებთან ერთად კანჯარიც მოიხსენიება [რუსთაველი 1957: 22].

კანჯარის ნამარხი და ნახევრადნამარხი ნაშთები აღმოჩენილი იქნა ზურტაკეტის ეპიპალეოლითურ სადგომში [Бурчак-Абрамович 1951], არუხლო I-სა და იმირის გორის ადრესამინათმოქმედო სადგომებში [Бендукидзе 1979], ასევე ორჭოსანში (ადრებრინჯაოს ხანა), ქვაცხელებში (ადრებრინჯაოს ხანა ა. ჯავახიშვილის გათხრები) და ჭორატში (ანტიკური ხანა). გარდა ამისა, პლეისტოცენის ხანის კანჯარის ქვედა ყბა აღმოჩენილი იქნა კირმაკუს ადგილსაპოვებელში (აზერბაიჯანი, ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მასალები). და ბოლოს, ძალიან თავისებური ადრინდელი კანჯარის ფორმა აღწერა ა. ვეკუამ ახალქალაქის ადრეპლეისტოცენურ ადგილსაპოვებლიდან, როგორც ახალი სახეობა (*Equus hipparionoides Vekua*) [ვეკუა 1962]. ამ ფორმის კბილები, ისევე, როგორც მისი ახლო მონათესავე ფორმისა ბინაგადიდან (აზერბაიჯანი), ხასიათდება კანჯარისათვის დამახასიათებელი ნიშნებით: საღეჭი კბილების თხელი ემალი, გაუყოფელი მეზოსტილი, ქვედა კბილების განსაკუთრებული ფორმის გარე უბე, რომელსაც წინა კედელზე აქვს ძალიან სუსტად განვითარებული დამატებითი ნაოჭი. დამახასიათებელია ქვედა კბილების ამ უბის ძალიან ძლიერი შეჭრა ორმაგი მარყუჟის ყელში, მაგრამ თანამედროვე და გვიანი პლეისტოცენის ხანის კირმაკუს კანჯარისაგან განსხვავებით ძალიან მოკლე პროტოკონით (თანამედროვე კანჯარების ზედა მოლარების პროტოკონი თავისი სიგრძით უახლოვდება ნამდვილი ცხენის მოლა-

რების პროტოკონის სიგრძეს). კანჯარის ფორმა ახალქალაქიდან, რომელიც ა. ვეკუამ აღწერა, შეიძლება ჩაითვალოს გვიანპლეისტოცენის ხანისა და თანამედროვე კანჯარის წინაპრად.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ძვ.წ. IV და III ათასწლეულებში კანჯარი მოშინაურებული იყო და არსებობდა მესოპოტამიისა და მის მომიჯნავე ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიებზე. ამის დასტურია IV ათასწლეულის სამარხებში აღმოჩენილი კანჯარის ძვლები და აგრეთვე სურათები ურიდან, რომლებზეც გამოსახულია ეტლში შებმული კანჯარები (ძვ.წ. III ათასწ.), თუმცა ცოტა ხნის წინ გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ადრებრინჯაოს ხანაში კანჯარი არსებობდა აგრეთვე შუამდინარეთის აღმოსავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში, კერძოდ, ბელუჯისტანისა და სისტანის ადმინისტრაციული ოლქების ტერიტორიაზე [Bendukidze 2003], ის ასევე არსებობდა ამ ტერიტორიის ჩრდილოეთით, თურქმენეთში (ანაუ), სადაც ასევე არის დასახლებები, რომლებიც ეკუთვნის იმავე ჰილმენდის კულტურას, რომელიც არსებობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში.

2001 წლის შემოდგომაზე ირანის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის ექსპედიციამ დოქტორ ს. მ. ს. საჯადის ხელმძღვანელობით და აგრეთვე ჩვენი მონაწილეობით, აღმოაჩინა კანჯარის ძვლები შახრე-სუხტეში (პროვინცია სისტანი და ბელუჯისტანი). უნდა ითქვას, რომ კანჯარების ნაშთები აღმოჩნდა ჯერ კიდევ იტალიური ექსპედიციის მიერ, რომელიც მუშაობდა შახრე-სუხტეში ისლამურ რევოლუციამდე, თუმცა ითვლებოდა, რომ ყველა კანჯარის ნაშთი ეკუთვნოდა ველურ ფორმას. ამჯერად კანჯარის ნაშთები ისეთ პირობებში იქნა აღმოჩენილი, რომელიც მოშინაურებულ ფორმაზე მიგვითითებს, კერძოდ, კანჯარის სამი ჩონჩხი (ორი ზრდასრულისა და ერთი ახალგაზრდა კანჯარის) აღმოაჩინეს სათავსოში E.R.A. (East Residential Area) მონაკვეთზე ძროხის ერთი სახეობის, ცხვრებისა და თხების რამდენიმე ჩონჩხთან ერთად. აქვე იყო აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები და ხის ნახშირი. შახრე-სუხტეში აღმოჩენილი ჩონჩხების განლაგება (ჩონჩხები არეულ, უნესრიგო მდგომარეობაშია, მაგრამ მათი ძვლები ბუნებრივ ანატომიურ შესახსრებებშია, რაც ქმნის სრულ ჩონჩხებს) გვაფიქრებინებს, რომ ცხოველები დაილუპნენ რაღაც კატასტროფის, შესაძლოა ხანძრის შედეგად. ამაზე მიგვითითებს ნახშირის საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელიც აღმოჩენილ იქნა ჩონჩხებთან ერთად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ცხოველი იმყოფებოდა ბოსელში, სადაც მოჰყვნენ კიდევ ჩამონგრეულ სახურავსა და კედლებს შორის. ამრიგად, E.R.A.-ს მონაკვეთში მყოფი ცხოველების დალუპვა მოხდა ერთ ნაშთში. როდის, წლის რომელ სეზონში მოხდა ეს კატასტროფა? ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ ვარაუდის სახით, თუმცა თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კანჯარების ძვლებთან ერთად ბოსელში ბატკნებისა და თიკნების ნაშთებიც იყო აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შემორჩენილი, მაგრამ უკვე მოცვეთილი ქვედა მესამე სარქვე კბილით (dp₃), მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კატასტროფა მოხდა შუა ზაფხულში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი არქეოლოგის მიერ გამოთქმული აზრი E.R.A.-ს სათავსოში აღმოჩენილი კანჯარის ნაშთების შენირვის რიტუალური ხასიათის შესახებ, ალბათ, არ არის სწორი. კანჯარები ძალიან ფრთხილი ცხოველები არიან, მათთან ახლოს მიპარვა ძნელია და ამიტომ, თავისთავად ცხადია, ისინი გაურბოდნენ ისეთ ხალხმრავლობას, როგორც იყო შახრე-სუხტეში. ამას გარდა, იმისათვის, რომ მოენადირათ და მოეტანათ დასახლებაში მთელი კანჯარი, საჭირო იქნებოდა ძალიან შრომატევადი და ძველი ხალხის აზრით არარაციონალური ქმედება. ასევე აშკარად ვერ უძლებს კრიტიკას ვარაუდი იმის შესახებ, რომ E.R.A.-ს სათავსოში აღმოჩენილი ძვლების გროვა უნდა ყოფილიყო მთლიანი კანჯარის ხორცის მარაგის ნარჩენები. საქმე ისაა, რომ ზაფხულში ირანის ამ რეგიონში, სისტანში ჰაერის ტემპერატურა, ჩვეულებრივ, აღწევს +50-55°C, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებდა ხორცის გაფუჭებას. ამგვარი რამ ადამიანების იქ ყოფნას აუტანელს და პრაქტიკულად შეუძლებელს გახდიდა. ნათქვამიდან გამომდინარე ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აღმოჩენილი სამი კანჯარის ჩონჩხი სინამდვილეში ეკუთვნოდა შინაურ ცხოველებს, რომლებიც დამწყვდეულნი იყვნენ ბოსელში, სადაც დაილუპნენ კიდევ. ეს ჩვენი ვარაუდი მით უფრო რეალური ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მესოპოტამიაში დაახლოებით იმავე პერიოდში კანჯარების დომეს-

ტიკაცია დამტკიცებულად ითვლება. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, კანჯარის აღმოჩენის ფაქტი სხვა შინაურ ცხოველებთან ერთად არის ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი იმისა, რომ საქმე გვაქვს მოშინაურებულ კანჯართან. მიუხედავად თავისი სიახლისა და სენსაციურობისა, ეს ვარაუდი სულ არ გვეჩვენება შეუძლებლად, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ შინაური კანჯარების არსებობას არა მხოლოდ შუამდინარეთში, არამედ თურქმენეთშიც (ანაუ), სადაც კანჯარის ძვლები აღმოჩენდა ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში [Громова 1947]. ანაუს ფენები, როგორც უკვე აღვნიშნავდით, მიეკუთვნება ჰილმენდის კულტურას. შახრე-სუხტეში მოშინაურებული კანჯარების აღმოჩენასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ აგრეთვე უ. დიურსტის მიერ აღწერილი პატარა ცხენის ნაშთები ანაუს ადგილსაპოვებელიდან (თურქმენეთი), რომელიც მიეკუთვნება იმავე ჰილმენდის კულტურის გვიანდელ ეტაპს [Duerst 1908]. ცნობილი რუსი პალეონტოლოგის ვ. გრომოვას აზრით, პატარა ზომის და წვრილფეხა ცხენი უნდა მიეკუთვნოს კანჯარს [Громова 1947]. რადგან ანაუს ბრინჯაოს ხანის ფენები დაახლოებით იგივე ასაკისაა, რაც შახრე-სუხტეში (მ. საჯადის ზეპირი ცნობა), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანაუს კანჯარებიც შინაურ ფორმას ეკუთვნოდნენ.

ჩვენ დავადგინეთ, რომ E.R.A.-ს მონაკვეთზე ნაპოვნი ძვლოვანი მასალა მისი აღმოჩენის მომენტში, „*in situ*“, სავარაუდოდ წარმოდგენილი იყო სამი კანჯარის მთლიანი ჩონჩხის სახით. ამასთან, მათთან ერთად ნაპოვნი იყო აგრეთვე ძროხის ჩონჩხი, თხებისა და ცხვრების ძვლები (სავარაუდოდ, ასევე ჩონჩხების სახით ანატომიურ შესახსრებაში). თუ გავითვალისწინებთ ამ ნეკროცენოზის თავისებურებას (სათავსოში), ჩვენ მივიჩნევთ, რომ შახრე-სუხტეში საქმე გვაქვს შინაურ კანჯართან. ეს დასკვნა დასტურდება სხვა შინაური ცხოველების ნაშთების აღმოჩენით კანჯარის ძვლებთან ერთად (ძროხისა და წვრილფეხა საქონლის).

შახრე-სუხტეს ექსპედიციის ლაბორატორიაში ჩვენთვის E.R.A.-დან ჩამოტანილი ქანის მონოლითში აღმოვაჩინეთ თავის ქალები და სხვა ძვლები (კისრის მალეები, წინა კიდურის ძვლები და ნეკნების ნამტვრევები). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოსტეოლოგიური მასალა იყო თავის ბუნებრივ ანატომიურ ნესრიგში ერთმანეთის მიმართ, რაც მიუთითებს ცხოველების დაღუპვაზე კატასტროფისას იმ შენობაში, სადაც დამწყვედეულები იყვნენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ კანჯარებისა და შახრე-სუხტეს სხვა ცხოველების ნეკროცენოზში ჩვენ უფრო ვხედავთ პირდაპირ ანალოგიას წარსული გეოლოგიური ეპოქების ნეკროცენოზებთან, ვიდრე არქეოლოგიურ მასალასთან, რომელიც, როგორც წესი არის ძალიან დასახიჩრებული და დანაწევრებული.

ამრიგად, ამჟამად ცნობილია ადრებრინჯაოს ხანის შინაური კანჯარის აღმოჩენის სამი პუნქტი: 1. მესოპოტამია; 2. ირანი (შახრე-სუხტე); 3. თურქმენეთი (ანაუ). ხოლო იმის გამო, რომ საქართველოსა და კავკასიის ტერიტორია გეოგრაფიულად მდებარეობს აღმოჩენათა უკიდურეს დასავლეთსა (შუამდინარეთი) და უკიდურეს აღმოსავლეთს (ირანი) შორის, უნდა დავუშვათ, რომ მოსალოდნელია შინაური კანჯარების ნაშთის აღმოჩენა აგრეთვე კავკასიაშიც, მითუმეტეს, რომ ახალციხის ტერიტორია (ორჭოსანი), სადაც კანჯარის ნაშთები აღმოჩენილი იყო ადრებრინჯაოს ხანის ფენებში, დაშორებულია მესოპოტამიიდან მხოლოდ 1000 კილომეტრით. სწორედ ამიტომ, სულაც არ გამოვირიცხავთ, რომ კანჯარის ნაშთები, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანის ორ ძეგლშია აღმოჩენილი — ორჭოსანსა და ქვაცხელებში, შესაძლოა ეკუთვნოდა ამ ფორმის მოშინაურებულ სახეობას. ამაზე უპირველეს ყოვლისა მიგვითითებს საქართველოსა (და მთლიანად კავკასიის) გეოგრაფიული მდებარეობა იმ არეალის ფარგლებში, სადაც დასავლეთში (მესოპოტამია) და უკიდურეს აღმოსავლეთში (ირანი), როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნავდით, ადრებრინჯაოს ხანაში ნამდვილად არსებობდა შინაური კანჯარი. რასაკვირველია, უნდა ითქვას, რომ ჩვენი დასკვნები შინაური კანჯარის სავარაუდო არსებობის შესახებ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ატარებენ წმინდა ჰიპოთეტურ ხასიათს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სწორ გზაზე ვდაგავართ, თუმცა ეს ჩვენი თვალსაზრისი უნდა დადასტურდეს არქეოლოგიური აღმოჩენებით.

ირანში შინაური კანჯარის აღმოჩენასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა — სად და როდის გაჩნდა პირველად ეს შინაური ფორმა: დასავლეთში — მესოპოტამიაში, თუ აღმოსავლეთში — ირანსა და თურქმენეთში? შესაძლოა ამ კითხვაზე, პასუხი მოგვცეს გასულ წლებში გაკეთებულმა აღმოჩენებმა უმ-დაბანიის (უმ-დაბანიის ასაკი ინგლისელ არქეოლოგთა მონაცემებით ძვ.წ. 6200-5750 წლებია), რომლებიც საკმაოდ საგულისხმოა. აქ ინგლისელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მთელი რიგი პატარა კვადრატული ზომის უჩვეულო სათავსოები სახურავის გარეშე, რომლებიც ძალიან მოგვაგონებს იმას, რასაც თანამედროვე ცხენების მწვრთნელები უწოდებენ ბაგებს ანუ ცხენების დასამწყვდევე ადგილებს. სავარაუდოა, რომ ამ ნაგებობებში ხდებოდა დაჭერილ კანჯართა პირველადი მოთვინიერება, რადგან აქვე იყო აღმოჩენილი მათი დასაჭერი ბადეების ნაშთებიც. აღსანიშნავია, რომ კანჯართა ძვლების ხვედრითი წილი უმ-დაბანიის ძველი მოსახლეობის ოსტეოლოგიური მასალის 70%- შეადგენდა [ЯНКОВСКАЯ 1985].

უმ-დაბანიიდან მიღებული მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კანჯარის მოშინაურება დაიწყო მესოპოტამიაში გვიანი ნეოლითის ხანაში და უკვე შემდეგ, ბრინჯაოს ხანაში მოშინაურებულმა კანჯარმა ირანისა და თურქმენეთის ტერიტორიას მიაღწია. შინაური კანჯარის გამოჩენისა და გავრცელების შესახებ სხვა ვარაუდიც არსებობს: შინაური კანჯარი შეიძლება გაჩენილიყო სხვადასხვა ქვესახეობიდან პარალელურად, მაგრამ მისი მოშინაურების ადრეული კერები, ისეთი, როგორიც აღმოჩენილია უმ-დაბანიისაში, ჯერ არ არის აღმოჩენილი. მაგრამ ეს მოსაზრება ჩვენ ნაკლებ სანმუნოდ მიგვაჩნია, რადგან ამჟამად მიღებულია თვალსაზრისი შინაურ ცხოველთა მონოფილური წარმოშობის შესახებ. ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანჯარის ძალიან ფართო გავრცელების მიუხედავად, ევრაზიაში მოშინაურებულ იქნა მისი მხოლოდ უკიდურესი დასავლური ქვესახეობა, რომელიც გავრცელებული იყო სირიაში, პალესტინაში და ერაყში [Соколов 1987].

თუმცა შუამდინარეთში კანჯარის მოშინაურების პროცესი დაიწყო ბევრად ადრე, ძვ.წ. III-IV ათასწლეულამდე, ხოლო უმ-დაბანიის აღმოჩენები ასახავს ამ ცხოველის მოშინაურების მხოლოდ სანყის ეტაპს და უკვე დანამდვილებით მოშინაურებული კანჯარი ცნობილია ურუქის კულტურის პერიოდში (ძვ.წ. IV ათასწლეული). ინგლისელ მეცნიერთა მონაცემებით, სწორედ კანჯარის ნაშთები და არა ცხენისა, უხვად არის აღმოჩენილი ე.წ. მეფეთა სამარხებში ურუქისა და ურის შემდგომ ხანებში.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში კანჯარს, სავარაუდოდ, გარდაცვლილ მეფეთა გასასვენებელ ეტლებში შესაბამელად იყენებდნენ. ამას ადასტურებს კანჯარის ძვლების აღმოჩენა რიტუალურ ეტლებთან ერთად და იმ ეპოქის მეფეთა ნაშთებთან ერთად, რომლებსაც ხშირად პოულობენ პრეისტორიული ხანის მესოპოტამიის ქალაქ-სახელმწიფოებში.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა შინაური ცხოველის მსგავსად, რომელიც 2000 წელზე მეტხანს არსებობდა (ძვ.წ. IV-III ათასწლეულები), შინაურ კანჯარსაც უდაოდ შეეძლო შეეძინა ზოგი მორფოლოგიური და დიაგნოსტიკური თავისებურება, რომელთა საფუძველზეც მომავალში ალბათ შესაძლებელი გახდება განასხვავონ შინაური კანჯარი გარეულისაგან. ეს საკითხი უდაოდ იმსახურებს საფუძვლიან შესწავლას. ამჟამად ჩვენ მხოლოდ ვინყებთ შინაური კანჯარის დეტალურ შესწავლას.

დასკვნა. შინაური ცხენი, როგორც ჩანს, წინა აზიაში და კავკასიაში საკმაოდ გვიან გაჩნდა. შინაურ ცხოველთა სხვა სახეობები ნეოლითში უკვე არსებობდნენ ევრაზიის რეგიონში, მაშინ, როცა შინაური ცხენი სამხრეთ კავკასიაში გამოჩნდა არაუადრეს შუაბრინჯაოს ხანისა (ძვ.წ. II ათასწლეული). თუმცა არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ შინაური ცხენის გამოჩენამდე მახლობელ აღმოსავლეთსა და წინა აზიაში იყო მცდელობა მოეშინაურებინათ ცხენის სხვა სახეობა — კანჯარი. მაგალითად ურის ცნობილ შტანდარტზე (მესოპოტამია) გამოსახულია ოთხთვალა ეტლში შებმული ოთხი კანჯარი და არა ცხენები. მაგრამ შემდგომ მოშინაურებული კანჯარი, როგორც გამწვევი ძალა, იცვლება ისეთი უფრო ძლიერი სახეობით, როგორიცაა შინაუ-

რი ცხენი, რომელიც სავარაუდოდ ცენტრალური აზიიდან შემოვიდა. ცხენი, როგორც ჩანს, უფრო ძლიერი იყო და უფრო მეტად შეეძლო ეტარებინა სამხედრო ეტლი ან მხედარი.

მოშინაურებული კანჯარის ნაშთების აღმოჩენამ შახრე-სუხტეში იმ მონაცემებთან ერთად, რომელიც ლ. ვულიმ პირველმა მოიპოვა ურიდან, მოგვცა შესაძლებლობა ახლებურად შეგვეხედა ცხენის სხვადასხვა სახეობათა (*sensu lato*, კანჭარის ჩათვლით) როლისა და მნიშვნელობისათვის კაცობრიობის განვითარების პრეისტორიულ ეტაპზე. ირკვევა, რომ კანჯარი, როგორც ერთ-ერთი შინაური ცხოველი (ადრეული ბრინჯაოს ხანის პერიოდი, ძვ.წ. 2800-2850 წწ.) მახლობელი აღმოსავლეთისა და წინა აზიის რეგიონებში, სავარაუდოდ, ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა შინაურ ცხენს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი შესაძლებლობას გვაძლევს მეტ-ნაკლებად ზუსტად დავადგინოთ დასახელებულ რეგიონებში შინაური ცხენის გამოჩენის დრო, რომელიც სავარაუდოდ შუა ბრინჯაოს ხანაა. ამას ადასტურებს ჰიქსოსების შეჭრა ძველ ეგვიპტეში, სადაც გამოჩნდა მათი სამხედრო ძალა ორთველიან ეტლებში შებმული ცხენებით. ამიტომ ყველა ნაშთი ცხენებისა, რომლებიც ბრინჯაოს ხანის ადრინდელ პერიოდებს მიეკუთვნება, შეგვიძლია ავტომატურად მივაკუთვნოთ ველურ ცხენს. რაც შეეხება შინაურ კანჯარს მესოპოტამიიდან, შახრე-სუხტედან და ანაუდან, იგი უკვე არსებობდა ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში და უფრო ადრე კი, ურუქის კულტურის ეპოქაში (ძვ.წ. IV ათასწლეული), თუმცა კანჯარის მოთვინიერება მესოპოტამიაში მოხდა კიდევ უფრო ადრე, გვიან ნეოლითში, რაზეც მიგვითითებს აღმოჩენები უმ-დაბანიიაში, რომლებიც ასახავს ამ ცხოველის მოთვინიერების საწყის ეტაპს.

ლიტერატურა

- ბენდუქიძე ო. 2005:** ჯინისში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალის შესახებ. – თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს ჩატარებული სავლე სამუშაოების ანგარიში. ხელნაწერი. თბილისი.
- ბენდუქიძე ო., დევნოზაშვილი ი. 2006:** ახალი მონაცემები ორჭოსანის ოსტეოლოგიური მასალის შესახებ. – ვ. ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. ახალი სერია № 1 (80), 239-249. თბილისი.
- გამრეკელი ნ. 1976:** ბრინჯაოს პერიოდის ცხენის ძვლების ნაშთები საქართველოს ტერიტორიიდან. – სსმმ, ტ. XXIX-A, 292-300.
- გამრეკელი ნ. 1980:** შინაური და გარეული ცხოველები თრიალეთის ყორღანებიდან. – სსმმ, ტ. XXX-A, 207-216.
- ვეკუა ა. 1962:** ახალქალაქის ქვედაპლეისტოცენური ძუძუმწოვრების ფაუნა. თბილისი.
- ნარიმანიშვილი გ. 2006:** საფარ-ხარაბას სამაროვანი. – ძიებანი, №17-18, 92-126.
- რუსთაველი 1957:** ვეფხვისტყაოსანი. თბილისი.
- სადრაძე ვ., მურვანიძე ბ. 1987:** ცხენის ქანდაკება დიდი მცხეთიდან. – სმამ, ტ. 127, №2, 437-440.
- ჯაფარიძე ო. 1998:** ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძველი ნელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში (ადრეყორღანული კულტურა). თბილისი.
- Бендукидзе О. 1979:** Голоценовая фауна позвоночных Грузии. Тбилиси.
- Бурчак-Абрамович Н. 1951:** Материалы к изучению фауны палеолита Закавказья (Зуртакетская стоянка). – Изв. АН Азерб. ССР, № 9. Баку.
- Верещагин Н. К. 1959:** Млекопитающие Кавказа. Ленинград.
- Вулли Л. 1961:** Ур халдеев. Москва.

- Громова В. И. 1947:** История лошадей (род *Equus*) в Старом Свете. I, Обзор и описание форм. – Труды Палеонтологического Ин-та. т. XVII, I. Москва.
- Куфтин Б. А. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.
- Меликишвили Г. 1959:** К истории древней Грузии. Тбилиси.
- Межлумян С. К. 1972:** Палеофауна эпох энеолита, бронзы и железа на территории Армении. Ереван.
- Садрадзе В. Г. 1991:** Мцхета в XV- XIII в.в. до нашей эры. Тбилиси.
- Соколов В. Е. 1957:** Систематика млекопитающих. Ленинград.
- Сосновский И.П. 1987:** Редкие и исчезающие животные. Москва.
- Янковская Н. Б. 1985:** Новые данные к вопросу о межобластном разделении труда в древнем Двуречье. – Культурное наследие Востока, 84-88. Ленинград.
- Bendukidze O. G. 2003:** New data about *Equus hemionus* of the prehistoric period in I. R. of Iran. *Proceedings of the Regional Scientific Conference dedicated to the 60th Anniversary of the Institute of Zoology NAN RA*, 36-37
- Duerst J.U. 1908:** Animal remains from the excavations at Anau. In: R.W. Pumpelly (ed.), *Explorations in Turkestan 2*, 341-442. Washington